№ 7 — 1917
შაბათი 11 თებერ.

ერთი ნომერი ფასი
გამოცემისა 15 კ.



ვასო აბაშიძე

ვირას, თებერვლის 12, ახალ კლუბში წარმოდგენა აქვს



შალვა დადიანი

ამ კვირიან ბაქოში საბენეფისო წარმოდგენა აქვს

შინაარსი

1, **იოსებ არმათიელი** — შადგა დადიანი 2
2, **ს. ერთაწმინდელი** — ბაწია ქნათი . . . . . „
3, **ივ. ბომართელი** — ახალი ბოეზია 3
4, **ქმ. ქუჩიშვილი** — გურიისაკენ [მგზავრული 5
5, **დავ. მესხი** — ახირებული დდიური . . . . . „
6. **ბაზირა** — ქართველ მაყურებლთა შესახებ (რედაქციისაკენ) ბეში უბის წიგნი . . 6
7, **იზიძე** — დაკარგულ შვილს 8
8, **მიხ. ბოჭორიშვილი** — ვნების ბრეწვალებში (მეორე მოქმ) 9
9, **იაგ ყურკაციშვილი** — ვაჟკაცის სიკვდილი (ხალხურ) 12
10, **იპო ჯინორიძე** — ტბის ასუდი 13
11, **კირ. მაჭარაძე** — სარხარი „
12, **მახვილი** — შშრალ . . 14
13, **წვრილი ამბები** . . . „

შალვა დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი
(წელს ორივე ბაქოს სცენაზე მუშაობდენ)

შალვა დადიანი

(მისი ბენეფსის გამო ბაქოში)

საკმარისია ეს ორი სიტყვა გაიგონოთ ანუ ამოიკითხოთ, რომ მაშინვე წარმოიდგინოთ დაუცხრომელი კალმოსანი და მსახიობი-მქადაგებელი, ეროვნული თეატრის გაზრდა ამაღლების მოჯადოებული მიჯნური!

ხელოვნების მონა მორჩილი!

სამშობლო ქვეყნის გულის ცემის მესაიდუმლე!

დედა-ენის ფაქიზად გამავრცელებელი!..

ჩვენი განახლების ახალი ტაძრის დაუზარელი და მიუძინებელი დარაჯი!

ცოცხალი სიტყვის მოქანდაკე!

შეხედეთ: კოლხეთი და შავი ზღვის სანაპირონი, მტკვარ-ალაზანის ხეობნი და გურგენის ზღვის კიდე მას კვალ-დაუჩენელი არ დარჩენია!

სამშობლო ქვეყნის წარსული და აწმყო, მწერლობის სხვა და სხვა დარგი მას ხელ-შეუხებელი არა რჩება: ყველგან და ყველაფერში თავისი, დიად, თვალსაჩინო განძი შეუტანია და შეაქის.

და ასე მოღვაწეობს იგი—შალვა დადიანი თითქმის ოცდახუთი წელიწადი!..

დაბრკოლება, უიმედობა, გულის გაცრუება—მისთვის არ არსებობს...

სწორედ ესაა მიზეზი, რომ იგი იქ ალანთებს ხოლმე ლამპარს, სადაც უიმედობით მოცულნი მას აქრობენ!

ასე იყო ქუთაისში, ბათომში და წელს ბაქოში!

წელს ბაქოში თითქმის სეზონის დაწყებას არც-კი ფიქრობდენ: ხალხი არა გვყავს, ვიზარალებთო. მაგრამ ზოგიერთ სცენის მუშაკთა თავგამოდებამა და შალვა დადიანის მუყაითობამ ბაქო უსეზონოთ არ დასტოვა. შალვა დადიანისავე მოთხოვნით წელს ბაქომ ახილა ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორის ალ. წუწუნავას მიერ დადგმული წარმოდგენები, უფრო შერჩეული რეპერტუარი; წარმოდგენაზე ხალხი მუდამ დაიარებოდა და, როგორც გვესმის, არც იმდენი დეფიციტია რავდენსაც ელოდენ!..

ასე იცის საქმის სიყვარულით სამსახურმა.

თქმა არ უნდა, ამა წლის სეზონის კეთილად დაბოლოვებაში მის თანამშრომელთაც განსაკუთრებით ახალი გამგეობას, არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვით, მაგრამ საქმის სული და გული რომ შალვა დადიანი იყო—ეს ყველასათვის ცხადია!

სეზონის დასასრულს, ამ კვირაა, ბაქოს დრამ. წრე თავის რეჟისორს უმართავს საბენეფისო წარმოდგენას.

მსახიობის ბენეფისი— ეს მისი ზნეობრივ-ნივთიერი ჯილდოა და ბაქოს ქართველობა დღეს გამოიჩენს—რავდენად აფასებს კერძოდ თავის მუშაკისა და საერთოდ ჩვენის სცენისა და მწერლობის დაუღალავ, თავდადებულ მოღვაწეს.

იოსებ არიმათიელი

პაწია ქნარი

პაწია არი ჩემი ქნარი, ძლივას მჩინარი,
პატარა არი. მაგრამ დიდი ტანჯვის მთმენარი.

—

ხან მოსლბუნე, მოღიმარი; მკვნესარი, წყნარი,
ნაზი, ნარნარი. სიყვარულის ცრემლად მდინარი!

—

ხან-კი მქუხარი, სიმთა ჟღერით ელვა და ქარი,
მშვენიერების ზღვა, მარადის მოუსვენარი...

—

პაწია არი სიცოცხლისა მღერალი ქნარი,
პატარა... მაგრამ დიდი შვების ნეტარი მქნარი..

ს. ერთაწმინდელი

ახალი პოეზია

დიაღ, ბატონებო, მე ვარ პოეტი და დიდი პოეტიც. მე ეს დღემდინ არ ვიცოდი, რადგანაც მეტს მეტათ მორცხვი ვიყავი. ახლა-კი მე გავხდი ურცხვი, დიაღ ურცხვი!

ჭეშმარიტი, დიდი პოეტი მხოლოდ ის არის, რომელსაც არავისი და არაფრისა არა სცხვენია, რომელსაც არავის და არაფერს არ ერიდება, რომელიც თვითონ არის თვისი მსაჯული, რომელიც გრძნობს, რომ ის დიდი პოეტია და სხვა და სხვა.

თავის ქება კიტრათ ჰღირსო, უთქვამს ხალხს. სისულელე უთქამს!

სხვისაგან ქება ჰღირს კიტრათ. დეე, სხვებმა დამცინონ, მე ვაქებ ჩემს თავს, რადგანაც მე მრწამს, რომ დიდი პოეტი ვარ,—მორჩა და გათავდა!

გავა დრო, სხვებიც დარწმუნდებიან, რომ მე მართალი ვარ და მოვლენ ჩემდა საქებრათ. არ მოვლენ კისერიც უტეხიათ,— ვაი მათ!

აქამდინ მე მეგონა, რომ სხვამ უნდა მიწამოს. სისულელეა!

უმალ შენ თვითონ უნდა იწამო შენი თავი.

დრო გავა, სხვებიც გიწამებენ.

არ გიწამებენ და ჯანაბამდინ გზა ჰქონიათ!

დღემდე მე ვიყავი მეტის მეტათ მორიდებული, მორცხვი, თავმდაბალი.

სისულელეა ყოველივე ეს.

ჭეშმარიტი პოეტისათვის მორიდებელი სასირცხო არაფერია, პოეზიამ სირცხვილი, მორიდება არ იცის:

ბუნებამ გააჩინა მზეც და ტილიც.

და თუ მზესა აქვს ადგილი პოეზიაში, ტილსაც უნდა ჰქონდეს, ლორსაც, ძაღლსაც.

არც აკაკი, და არც ილია ნამდვილი პოეტები არ იყვენ. ისინი იყვენ კარგი მოქალაქენი. პოეზია მათთვის იარაღი იყო, საშუალება და არა მიზანი.

ჩემთვის-კი პოეზია თვით მიზანია, პოეზიის გარეშე ჩემთვის არაფერი არ არსებობს.

ვერ მიხვდით? მე ვარ სრულებით ახალი პოეტი, მე უნდა შევქმნა სრულებით ახალი პოეზია.

შოთას შემდეგ დღემდე ქართველი ერი უპოეზოოთ სცხოვრობდა. სირცხვილი არ არის

დღეიდან ქართველმა ერმა უნდა გაიგოს, თუ რა არის ჭეშმარიტი ნამდვილი პოეზია.

მე ვალაპარაკებ ვიგალობ ყოველ ფერზე, უ'თ ვრესათ კი იმაზე, რის შესახებაც ძველი პოეტები სდუმდენ.

იცოდეთ ყველამ, რომ პოეზიამ სირცხვილი არ იცის.

ვარდსა და ნეხვსა ვინადგან მზე სწორედ მოეფენების!

აი ჭეშმარიტი პოეზია. ის მზესავით თანასწორათ უნდა აშუქებდეს ვარდსაც, ნეხვსაც

მე ვუარ ყავი ძველი და ვქმნი ახალს, გზა ახლისა ჩემ ხელთ არის

ვინ მითხრა?.

მე თვითონ ვუთხარი ჩემს თავს.

მე დავარწმუნე ჩემი თავი, რომ მე ვარ დიდი პოეტი, წარმომადგენელი სრულიად ახალი პოეზიისა.

ჩემთვის ეს სრულებით საკმარისია.

მართალია, ეს ახალი პოეზია ჩემით არ დაწყებულა, მაგრამ იცოდეთ, რომ მე ვიქნებ მისი ბრწყინვალე ვარსკვლავი და არა ელენე დარიანი.

მართალია, ჩემს პირველ ნაბიჯს გავლენა ეტყობა, მაგრამ...

მაგრამ ყური დამიგდეთ.

მე და კატა.

ღამეა; გარეთ თოვს. ყინვაა, ცივა.
ბუხარში კიზგიზებს კამბეჩის წივა.
მარტო ვარ ობლათა, სევდამ მიმატა.
ბუხრთან ნებივრობს ბეხუდა კატა
სევდიან, ცხადიან, ვიწვი, ვარ მოგრანდი.
ტრფობისა, გშხისა მიჩნდება ადა.
გულგუსვი ხელები შეინძრა ტიტა.
გრძნობისა ერთობა მან დამიმტკიცა...
ტინდადი ხბრიდმა ავი შემმატა!
სად წახვედ გენატვა ბუხუდა კატა?
ღამეა, გარეთ თოვს, ყინვაა, ცივა.
ბუხარში კიზგიზებს კამბეჩის წივა.

ფერადი სონეტი

ბალახის ბიბინი, ფოთოლთა შრიალი.
ხიტების ჭიკჭიკი, მდინარის ხხრიალი.

გიშრისა ტევრები, შიშველი სხეული.
მარტოთ ვარ, ეული, არვინ მეყვს წყეული.
ვეტრფი მე ვაჟკაცსა, ვეძებ მე თავარეულს.
მე მიყვარს მამაცი, მე ველი შორეულს.
წეურგიდით ჯანკალებ, ტრფობითა ვაკვდები.
ატოკდა სხეული, მოგიდა თავადი.
მოგიდა ლაშაზი, შოგიდა გრძნეული,
ადარ ვარ სხეული, ადარ ვარ ეული
თვალებში მაკოცა, მომხვია ხელები...
მოდუნდა სხეული, დამეწვა წელები.

უკაცრავათ, დამავიწყდა: თავადს რაში ჰყავდა და სანამ ის შიშველს ქალს ხელებს მოხვევდა, რაში დაება.

რაში ხტის, ჭიხვინებს, მდინარე ჩხრიალებს.
და ჩემი ბერანგი ჭალრზე ფრიალებს.

სონეტი.

კუოხეში მზეზედ მიმჯდარა ქალი.
ძონქებში ხვეულსა მიეკუყარ თვალი.
უბეში იეოფდა მალიმალ ხელებს.
წკეტუნი გაჭქონდა თითებზე ტელებს.
მივედი მე მასთან, ვუნახე ხელი.
ფრჩხილებზე გაჭკრიდა ტიდების წელი...
წითელი ფრჩხილები ცოდვიდი ხელი!
ოქვენ ბეტრფით, ოქვენ ბელით, ოქვენ
ბოტნას ველი!

ლორის სიმღერა

შედმართს აგტიდდი, გზა გაგვიკე.
მინდვრად ვიხიდე მე დორი მაკე.
იწვა დრეზენა. მწარეთ ბვნესოდა.
მისი ტანჯვა მე მხოდოდ მესმოდა.
თორმეტი ბოჭი ჰეაედა მუტელში,
იგრიხებოდა საბრალო წელში!
ოჭ, დორო, დორო, დინგ მშვენიერო!
ზოგჯერ მაძლარო, ზოგჯერ მშიერო.
რით უნდა ჭშობო თორმეტი ბოჭი?
შუბლზე დაგაჩნდეს ბეგრი ნაოჭი.
შენის ტანჯვისა, ბუნესის ჭინგები
შიგ ბულში ჩაშეწვდა და ვითანგები.
შენი სიმღერა ვის ესმის ბანა?
შენთვის მზათა აქვს ბრბოს მხოდოდ დანა!

მე სარკე ხელთ ჩიპყრია, გრძნეული, მთვარეული სარკე და მშვენივრათა გხედავთ ყველას, ჩემო ყვითელო მტრებო!

თქვენ სიბრაზით კბილებს აღრჭენთ. გინდათ, ჩამქოლოთ, მაგრამ ვერ მოგართვით:

მე დღეიდან ხელოვნების ახალ ტაძარში ვარ და თქვენ მე ვერას დამაკლებთ, რადგანაც უპასპორტოთ ამ ტაძარში თქვენ არავინ არ შემოგიშვებს.

მე მინდა, რომ კიდევ უფრო გაყვითლდეთ.

ამიტომ შემდეგისათვის მე მზათ მექნება თქვენთვის:

1) მზეთუნახავი ჩეჩმაში.

ძველი პოეტები მზეთუნახავს კოშკში ათავსებდენ. უგუნურებმა არ იცოდენ, რომ პოეტს ყოველისფერზე შეუძლია წერა. ყოველისფერის თქმა მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, თუ რას ამბობ, ან რის შესახებ სწერ, —ყოველივე ეს ძველი სასულელეა,—საქმე იმაშია, თუ როგორ იტყვი, როგორ დასწერ.

2) ტიდების ფერხული.

3) მაკე მთვარე და მრავალი სხვ.

სალომე ხალიანი.

მცირე შენიშვნა

ჩვენმა ახალგაზრდა პოეტმა, სალომე ხალიანმა, მთხოვა, მისი პოეზიის შესახებ რამე დამეწერა. სიამოვნებით ვასრულებ მის სურვილს.

როგორც მკითხველი თვითონაც დარწმუნდება, სალომე ხალიანი ისე სწერს, როგორც არც ერთ ჩვენს პოეტს არ უწერია და სწერს იმის შესახებ, რაზედაც ჩვენი პოეტები სრულებით არა სწერდენ.

მაშასადამე ეს არი სრულებით ახალი პოეზია, რომელიც ჩემის ღრმა რწმენით, სრულებით გააძევებს თანამედროვე და ძველ პოეზიას.

ძველი პოეზიის, ძველი კერპების აღსასრული დადგა.

სალომე ხალიანს დიდი ნიჭი და დიდი ორიგანალობა, თავისებურობა ეტყობოდა ბედს მისთვის ურგუნებია გვირგვინი უკვდავებისა, ჩვენი პოეზიის განახლება და ამაღლება.

მე დანამდვილებით ვიცი, რომ სალომე ხალინია მბლე გამართავს საღამოს და გააცნობს ფართო საზოგადოებას თავის პოეზიას.

აი სწორედ ამ საღამოზე მე წარმოვსთქვამ შესანიშნავ სიტყვას სალომე ხალიანის პოეზიის შესახებ.

ივ. გოლოვინ

გურიისაკენ

მგზავრული

ძღვნად სიმონ რამიშვილსა
და ალექსანდრე ხუნდაძეს,

დაიძრა ეტლი მფრინავი
სწრაფი, ლამაზი ცხენებით,
თვალწინ მეშლება სურათი
ზღაპრული ფერად შვენებით!

ეტლი რბის, ეტლი მიმაფრენს
დაკლაკნილ შარა-გზაზედა;
გული ხტის, გული თამაშობს
ცხენების ფეხის ხმაზედა!

ეტლი რბის! სული წის უსწრობს!
გადადის მთიდან-მთაზედა;
ფრთასა შლის ჭრელი ოცნება
გურიის დანახვაზედა!

ქუდს ვუხდი მხარეს საყვარელს
მღერით და აღფრთოვანებით;
წყალნი წინ მეგებებიან
კრიმანჭულით და ბანებით!



ახირებული დღიური

„... და გთხოვ, მეგობარო, ჩემს სიცოცხლეში ნუ გამოაქვეყნებ ამ ჩემი ავადმყოფი ტვინის ნაწაფარ დღიურს. გოლიათი არა ვარ იცი, მალე—წიაღსა შინა—და მაშინ ამცნე ქვეყანას ეს ჩემი ახირებული დღიური“.

დღეს უკვე ანდერძია ეს წერილი,—ჩემი მეგობარი ცოცხალი აღარაა და ვასრულებ მის ანდერძს.

ორშაბათი

ორშაბათს შავ დღეს ეძახიან და მეც შავი ფიქრები გარს მახვევია...

უცნაურსა და მწარე ფიქრებს მიშლის, სასოს მიკვეთს ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყანა ტურფაა და ხალხი ლამაზი...

სიტურფემ და სიუხვემ გაგვაზარმაცა, გაგვალარიბა, გაგვაყარიბა...

ვინც-კი მთა-გრეხილი გადმოვლო, ულრანი ტყე-ველი, ოღროჩოღრო გადმოლახა და მოღწია ამ ტურფა ქვეყანაში, ნახა გულზვიადი მასპინძელი—მოირთხა ფეხი და სტკბება. გაოგლილი, გაფხეკილი ქვეყნიდან შემოვიდენ ბალნარში, ვარდ-ყვავილებით აფერადებულს ედემში, ამბრითა და ნეკტრით აპკურებულს სამოთხეში... ქორწილსა და ლხინში შემოჭრილი გიჟი, აბა, გაგდე გარეთ.

გიჟია-გავა!?..

მოსული ეზიარა მაცოცხლებელ მზის სხივებს, შეხვდა გონჯი ლამაზს, გაყინული—ცხელს... და მიეტმასნა... გაზითაც ველარ მოგლეჯ..

ბუნებაა ადამიანისა და რას უზამ!.. აბა, აქ ვინღა დაგიდევს, ვისღა აგონდება ისტორია, მისი პირობები, ოქმები...

ვნებამ უნებოთ გვაქცია და-გაზარმაცებულს ხალხზე განგებამ სხვისი ნება გაბატონა..

შაბათი.

ძალიან ხშირად მიფიქრია იმაზე, რომ საათის გამომგონს დიდი ბოროტება ჩაუდენია ამ პაწია მოჩხაკუნე ქანჭანის გამოგონებით...

ახლა, ამ დაუძლურების ხანში ამ ბოროტებას უფრო მწვავეთ ვგრძნობ..,

ვინც კი გარს მახვევია, ყველა მაიმედებს, არ შეშინდე, ცუდი ფიქრი გულში არ გაივლო, სასიკვდილო რა გიჭირსო...

საათი?

რა საძაგელია! ბალიშს ქვეშ ჩხაკუნებს უდარდელად, ისარი მისრიალობს და რამდენსაც დახაზულს გაივლის, იმდენად თანდათან მიახლოვდება დასასრული... რამდენსაც გახაზულს! გადაცდება, იმდენი წუთი აკლდება სემს სიცოცხლეს.

ბოროტი კაცი ყოფილა საათის გამომგონი!

კვირა

მთელი სამყარო წამლი სუნით ამჭორებულია. ცის ქვეშეთი იბრძვის და ისე გაძვირდა ყველაფერი, თითქოს ზღაპრული ამბავი იყოს.

იაფია მხოლოდ ერთი რამ. . იაფია ის, რაც მთელს სამყაროზე უძვირფასესი რამ არის და რასაც ვერაფერი საფასურით ვერ იყიდი. ვერავითარი საგანძურით ვერ შეიძენ ადამიანის

სიცოცხლე! ჩალის ფასად აღარა ღირს...

უცნაური მოვლენაა!,

როცა კერძო მკვლელობა ხდება, საცა უნდა იყოს, რა ქვეყანაშიც არ უნდა მოხდეს იგი,—საშინელ ბოროტებათ სთვლიან, გულშემზარავ მოვლენათ სახვენ... შეიძვრის სასამართლოები ამხედრდებიან ბრალმდებელნი, ვექილები, მოსამართლენი, მოწმენი, სოფელი, ქალაქი, ქვეყანა..: რა მოხდა!?.. მოკლეს ერთი კაცი!,..

დღეს დღეში ათასი კვდება... მეტიც...

კვერცხი, ცალი კვერცხი რვა კაპიკათ ფასობს,.. რა დროს შევესწარითო—ყვირიან...

ერთი კვერცხი რვა კაპიკი ..

ათასი კაცის სიცოცხლე!..

საშშაგათი

გარეთ საზარელი ბრძოლის ველი... სისხლის ზღვა, კვნესა, ვაი-ვაში.

შინ-კი მშვიდობა!—საშინელი ძრწოლა. შიში, .. ოჯახს მარჯვენი მოსწყვიტა ბრძოლამ—მარცხენი—საქონლის ჭირმა „ბატონებმა«.

გოდებაა სოფლად. „ბატონების« შემოვლა იცის, ხალხმა იცოდა... მოუბოდიშებდა, მოუცეკვებდა, მოუმხიარულებდა. ამას თავის მნიშვნელობა ჰქონდა. ხალისი და კაი გუნება კარგათ მყოფსაც იამება და მით უმეტეს უძლურს.

მობოდიშებისა, ცეკვის და მხიარულების გუნებაზე ვინღაა. დღეს და „ბატონებსაც« სიმძაფრე ემჩნევა.

სული ამოგვაცალა ამ „ბატონების მობოდიშება ..

ქართველ მაჰმადიანთა შესახებ

ჩვენთა ძმათა—ქართველ მაჰმადიანთა საკითხი დღეს ბევრი აურ-ზაური გამოიწვიონ და ზოგიერთ ცდილობენ—ღვიძლი ძმა ძმას დააშოორონ რომ ქართველი მუსულმანნი ზნე-ჩვეულებით, მისწრაფებით ქართველნი არიან, და სურთ მშობლიურ კერას დაუბრუნდენ, ამას ქვეშორე მოყვანილი ეერილიც ადასტურებს.

აი, რას სწერდა ქართველ-მაჰმადიანთა შესახებ ჩვენი სახელ-განთქმული სახალხო ამშეღი და მწერალი **ჰაზიერა** ამ ოცდა ხუთის წლის წინად დიდი ილიას გაზეთ „ივერიაში“ (1891წ. №214), ვბეჭდავთ ამ წერილს სრულიად უცვლელად, რომელსაც თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და ფრიად საყურადღებოა.

„უბის წიგნში“ ჩაწერილი.

მეუბნებიან, კაცო, რას ჩასტიებიხარ ამ ბათუმს და ეოგელს წელს ზაფხულობით იქ მიდიხარ; ნეტა ან რა მიგაქვს იქ ან რა მოგაქვს იქიდამო. ერთხელ სხვა მხარეს წადი, შე კაი კაცო იქნება სხვა მხარეს უფრო დიდი ბატივი და სარგებლობა ბქონდესო—შეგირდებსაც-კი თან წაასხამ სოდმეო. ჩემი დარდი და გულის ტკივილი-კი არ იცი, ამ ათის წლის წინად რომ ბარეგვლად ბათუმში წავედი, ისეთმა გრძნობამ შეშიბეერა, რომ შეუძლებელი იყო, ზაფხული დამდგარიყო თუ არა, ბელად იქ არ წავსულიყავი. სადაც ჩვენ ვიყვნეთ ბაშომხდარი, იქვე ახლო ოთხი სახლობა სტეფანრობდა გამოჭმადიანებულ ქართველებისა. თხუთმეტ-თექსმეტამდე ემაწვილი ჭყანდათ. ეი სწორედ ამათ შემიბერეს და ამიტომ ეოველს წელიწადს ზაფხულში ბათუმს არ ვშორდები. ისე მიყვარდენ ის ემაწვილები, ისე რომ... ბა რა ვსთქვა, როგორც ჩემი დგიძალი შვილები. გული არ მაძლევდა ნებას, რომ თავალი მომერი. დებინა იმისთვის და ეური არ დამეოო იმათი ლაპარაკისათვის. დიად, იმათის დაპარაკისათვის. ისეთ ტკბილს ქართულს დაპარაკობდნენ, რომ ჩემს სიცოცხლეში ისეთი ქართული არსად არა მსმენია. საკვირველია, მე თვითონაც არ მესმის, რ ბ შეზეერებიდან იმათი ქართული ისე ტკბილა. ის ემაწვილები ხნით იქნებოდნენ ესე ოთხი წლიანებიდან დაწყებული ათ წლისამდე. ორი ქალი იყო, ლანარნენები ვაჟები. იმათის სახის სიფეთრე, თვალ-მარდობა, სხაპა-სხეულით დაპარაკი, ამაები და ფიტხი გული ცხადად ამტკიცებდა, რომ უეჭველად გურულები უნდა ეოფილიეენენ. სადაც ჩვენი სადგომი იყო, იმ სადგომის ფანჯარის წინ იერიდნენ ხოდმე სათამაშოდ თავს. ის ქუჩა მიყვარდნიდი ქუჩა იყო და ფაიტონი სშირად არ დადიოდა. ამათი შემატქერალი ერთს და იმეგე დროს მხიარულადაც ვიყავი და მწუხარედაც. მხიარულად „იმიტომ რომ მესმოდ იმითი იმდენის ხნის გამოვლობაში სუფთად და

ფაქიზად შენაბუდი ქართული დედაენა. მწუხარედაც იმიტომ, რომ ვიგონებდი იმათს წარსულს, ვუკვირდებოდი ეხლანდელს ცხოვრებას და ვფიქრობდი, ნეტა მომავალში როგორ იქნება იმათი საქმე-მეოქი. ნამეტნავად მაშინ ვწუხდებოდი და მიკვდებოდა გული, როდესაც ერთმანეთს სახელებს დაუძახდენ: მაჭმად, ალი, შაჭვაზ, ომარ და სხვა... ჯვარისკენ სისხლი თავში მიგარდება-ხოლმე, ვამბობდი: ამ ჩვენ სისხლსა და ხორცთან, რა უნდა მაჭმადს, ან ომარს-მეოქი. სრულიად არ უხდებოდათ ის სახელები იმ უმაწვილებს როგორც არ მოუხდება თეთრს ნაჭერს შავი საკერებელი. უნეირო ხიდის ხეზედ ნაქებს ხიდს ამენობენ. ამათ კი რომ ვუცქერდი, ისე მეგონა რომ ოურაშულს ვაშლზედ მაყალო უმუნიათ, კარგს გულაბს მსხალზედ მარბობელა ბანტა მეოქი. იმ უმაწვილებში ოსმალოელი უმაწვილებიც ირეოდენ და თამაშობდნენ. მნახველი ძალიან ადვილად შეატეობდა, რომელი იყო კამაჭმადიანებული ქართველი და რომელი ჭეშმარტი მუსულმანი. ჩხუბში ქართველ მაჭმადიანები და ნამდვილი თათრები უფრო ადვილად ირჩეოდნენ ერთმანეთისაკენ. უმაწვილები თამაშობდენ ჩვენებურს სათამაშოებს, თამაშობამიაც და ისეც თათრულს სრულიად არა დაბარაკობდნენ. ერთხელ ბურთსა თამაშობდნენ. ერთმა ქართველმა კაცმ, გამოირა, ბურთის ფეხი დაჭერა და შორს გადაუძახა. ნამდვილ თათრის უმაწვილმა, რომელიც მოთამაშეთა შორის ყველაზე უფროსი იყო, მიაძახა ამ კაცს:—ჭაი შე გიაურო, შენაო. ამაზე მაშინვე შეგარდა ერთი ქართველი მაჭმადიანი და კინაღამ თითებით თვალები გამოსთხარა: — გიაური შენა ხარ, შე დორო შენა! ეგ ხომ ქართველიაო.

— ჭო, და მაგათ ეძახიან გიაურებს.

— მაგათ-კი არ ეძახიან გიაურებს, იმათ ეძახიანო, რადაც სახელი უთხრა, ვიგონებ და ვერ მომიგონებია, დასწყევლოს დმერთმა, რადაც უგულმართი სახელი იყო.

ეს ამბავი იმის მიზეზით თუა, რომ დედ-მამას სახლში თავიანთის წარსულისა უდაბარაკნიათ და უმაწვილებსაც დასხობებიათ, რანი ყოფილან და ეხლა რანი არიან.

ეხლა-კი ნება მაქვს, სწორედ ვკითხო ჩემს თავს: რა ვქნა და რომელს ქვას ვახალო თავი-მეოქი. აქ, ბათუმში, გულების მოგება დავტოვო და წავიდე სხვაკან ფულები მოვიგო? ვახა იმისთვის მომანიჭა ბუნებამ სიტყვიერება, რომ მარტო ფულები მოვიგო და ჩემი თავი ვაცხოვრო? არა, არა, მე ჩემს სამშობლოს, ჩემს მიწა-წყალს ვერა გგმობ.

ეს ის მიზეზი მიწვევდა ბათუმისაკენ

თუ წავსულიყავი რომ წავიდოდი ჩამოსულიც-კი არ მინდოდა იქიდან. შეგირდებს ვგზავნი ხოლმე აქარის სოფლებში, მე-კი ბათუმში ვრჩები. საშინლად უყვართ ქართული სიმღერა და ხმები ქართველ-მაჭმადიანებს. სადაც გვემღერა ან ჩვენ, ან შეგირდებს, მოგრავდებოდნენ და ეურს გვიგდებდნენ ადტაცებით. მე ის-კი არ გამუსარდებოდა, რომ ბევრი ფული მოეცათ ჩვენთვის, მხოლოდ ის მინდოდა, ქართველ-მაჭმადიანი მეოდოდა მსმენელი. მუშტარიც იმ დროს და იმ ადგილს ისიამოვნებდა ჩვენგან. სადაც ბევრი კამაჭმადიანებული ქართველი მოგრავდებოდა, იმიტომ რომ, რამდენიც შემეძლო, გულიანად ვამბობდი სიმღერას ცუდად ეოფნის დროსაც იმათთვის კამოსადეგს ლექსებს ვწერდი და ურიგებდი ქართველ-მაჭმადიანებს. მაგრამ რას იზამ, რომ ამათს საქმეს თათრის მოდები ახდენდნენ. მკვიდრთა აზრი ხვა იყო და ისინი-კი სულ სხვას აგონებდნენ და სხვას უქადაგებდნენ. თითონ ხომ ძალიან სძულთ ჩვენი სალხი და იმის ცდაში არიან, იმათაც მოაძულონ. აი მაგალითად, რა დაბარაკი მოგვიხდა მე და ერთს ქართველს უმაწვილს მოდასთან, რადესაც მიგვიყვანეს იმათს წიგნთ-საცავში, მეჩეოის გვერდით, თათრულ ანბანის სასეიდად. ქართველმა უმაწვილმა, რაგორც ოსმალურის კანონიერად დაბარაკის უცოდნელმა უთხრა წიგნების გამეიდავს მოდას:

— უსტა, უსტა, ბიო, ოი ვერო*) და მიუთითა წიგნზე.

გაბრაზდა ქრისტიანის მიუკარებელი მოდა და თვალების ბრიალით უთხრა:

— გეო, გეო, ბურდა უსტა იოხტურ, უ'ტა დაშ იოხანდჭ დვარ ისთანდ*).

მე გამეცინა და გუთხარი:

— ხომ ჭხედავ, რომ ჯერ თათრული დაბარაკი ვერ მოუხერხებია, და თქვენი მოქალმქური დაბარაკი სად ეცოდინება-მეოქი, თუ არა და რა კაცის დამცირებაა ოსტატის ოქმა, ერთი მითხარი? ადარ დავაცადე ბასუხის მოცემა და განგაგრძე სხაბა-სხუბით მარდი გურულივით:—რა კაცი რა საქმეშია, იმის ოსტატი ის არის, აქ რა არის საწყენი-მეოქი. ამ უმაწვილმაც გამოსტაცა ხელიდან წიგნი, რომელიც უნდა მიეწოდე-

*) ოსტატო, ოსტატო, ერთი ის მომეციო.

*) წადი, წადა, აქ ოსტატი არავინ არ არის, ოსტატი ქვის მთლელი და კალატოზიაო.

ბინა, და ჩემს დაბარაგზედ გაშტერებულს, ხელში შერჩენოდა. აქ გამწვავდა დაბარაკი: ამ დროს გამოხტა გაბარაზებით ერთი ახალგაზრდა უმაწვილი ქართველი-მაგმადიანი, ესე თოთხმეტი წლისა, რომელიც იქვე ასდგა, დუქნის გვერდით იდგა, როგორც ეტეობოდა, ოსმალეთის სამხედრო სასწავლებლის მოსწავლე უნდა ყოფილიყო. ამან გაცხარებით შეუტია მოდას:

— ნადრ, ნახაბარდრ, ნა ეავდა ედიერსნ*)?

მერე ჩვენ შემოგვხედა და სიამოვნებით დაგვიწყო ქართული დაბარაკი:

— რა იყო, რა უნდა გეყიდათ, ან რაზედ გაგაჯავრათ? ქართველმა უმაწვილმა გაუმეორა ი უმაწვილს თავის ნადაბარაკევი. უმაწვილმა დაიწყო ჯავრობა. ჩვენი თვალები იმ უმაწვილზედ დარჩა, წიგნიც დაგვიწყდა და სულ ეველაფერიც მე ეუთხარი ჩუმად ქართველს უმაწვილს:

— ამას სხვა სული უდგას და სხვა სისხლი უდუღს ძარღვებში-მეთქი.

უმაწვილმა მხოლოდ სრულიად მიიზიდა ჩვენი ყურადღება. ცნობის მოყვარეობით გამოგვითხე ვინაობა და ეოველი გარემოება უმაწვილმა ი რა გვითხრა:

აბაშიძე ვარო. სახელად ასდანა მქვინო: წინად აქ ვკითხულობდი ქართულს წიგნს და ეხლა-კი ტრაპიზონში სამხედრო სასწავლებელში ვარო.

— მაშ ეხლა არ იცი ქართული კითხვა? ვკითხეთ ჩვენ.

— ვიცი, რატომ, ცოტ-ცოტა.

— ცოტ-ცოტა რად უნდა იცოდე ქართული კითხვა, სუფევლაზედ კარგად ეგ უნდა იცოდე. იმას-კი არ გეუბნები, რომ სხვა ენებს ნუ ის წავალ, არა, რამდენიც ბევრი ენა იცოდე და სწავლა გქონდეს, იმდენი უკეთესი იქნება შენთვის, მაგრამ ეველაზედ მკვიდრად-კი ქართულს წერა-კითხვას უნდა მოსწავლიდო ხელი, იმიტომ რომ ის არის შენი დედა ენა.

უმაწვილს ქართული წიგნები მიეგეცით. ასეთმა სიხარულმა უმაწვილი დიდად გაახარა და დიდი მადლობაც გადაგვიხადა, ვინ იცის რამდენია ისეთი კარგი უმაწვილი გამაგმადიანებულს საქართველოში, დანატრულებული ქართულს წიგნსა და წერა-კითხვის ცოდნას! ჩვენს ძმებს წიგნის ცოდნა სწყურიათ, სწავლა-განათლება უნდათ და ჩვენ-კი არაფერს არ ვაკეთებთ. სირცხვილი ჩვენთვის, ართველებო. სირცხვილი!

ჰაზირ

*) რა არის, რა ამბავია, რას ეჩხუბებიო.

ნიკ. ნიკიფ. მამ. მთავრიშვილი
პრაპორჩიკი, მღვ. მამამთავრიშვილის, შვილი ოსმალეთის ასპარეზზე ხელჩართულ გმირულ ბრძოლაში ააფეთქეს ხელის ყუმბარით. 23 წლ. იყო.

დაკარგული შვილის

დიმიტრი (მიტო) ესტატეს ძე ყირმელაშვილი
ხაშმელი გლეხი—ჯარისკაცი ოსმალეთის ასპარეზზე დაიღუპა, 22 წლის იქნებოდა

შვილო, სად მოკვდი, ვისთვისა,
ვეღარ გიხილე თვალითა,
შენ ერთი მყავდ ნუგეშად,
ვხარობდი მომავალითა,—
შენც გაჰქერ! ბერი ჩამექცა,
გული მევსება ბოღმითა:
ვიღამ ამინთოს სანთელი,
ვინ მასახელოს მოდგმ თა?!

მინდორი მოუხვენელია, ვენახი გვიტიალდება,
უპატრონობით ხარ-კამეს დღე შავად უტრიალდება,
ლამისა ბტერმა დაგვჯაბნოს და მოგვაყენოს ზიანი;
სად არის ჩვენთვის სიკეთე ან სიტყვა თავზიანი?!

მზე აღარ მზეობს ჩვენთვისა, გვყინავს და გვაზრობს ზამთარი,
მამაშენს თვალთაც უმტყუნე, დედა მოგტირი გულმკვდარი,—
შვილო, სად მოკვდი, ვისთვისა, სად დამეკარგე ძვალითა,
უშენოდ ვიღამ მახაროს, ბედკრული, მომავალითა?!

იზიძე

ვნების ბრჭყალებში

სურათები ხუთ მოქმედებად მიხ. **ბოჭორიშვილისა**

მოქმედება მეოთხე

მორჩილი ოთახი. კუთხეში წიგნებით სავსე თაროკედლებზე მეცნიერთა და მწერალთა სურათები. საწერი მაგიდა, რომელზედაც უწესრიგოდ ჰყრია წიგნები და რვეულები. ბუხრის თავზე სძევს ადამიანის თავის ქალა. დიოგენი მაგიდას უზის, მის წინ რავდენიმე წიგნი სძევს გადაშლილი ღრმად. ჩაფიქრებული კითხულობს ბიბლიიდან იმ ადგილს, სადაც აღწერილია როგორ გადასწყვიტეს ლოტის ქალიშვილებმა მამის დათრობა და მასთან დაწოლა სქესობრივ ჟინის დასაკმაყოფილებლად. კარებს არაკუნებენ, მაგრამ დიოგენს არ ესმის.

I

დიოგენი

დიოგ. საშინელია! სტიქიონის ველურ ღრიანცელზე უფრო საშინელია ვნების ტალღათა აზვიადება ადამიანის სულში ; იგი სპობს, ანადგურებს ყოველივე წმინდა გამოძახილს ყმაწვილ გონების სილრმიდან. (კარებზე კვლავ არაკუნებენ. დიოგენი კარებს ადგებს).

II

დიოგენი და დედა

დედა. სულ ამ წიგნებს ჩასცქერიხარ! ნეტავ რას ეძებ შიგ, რა დაგკარგვია?

დიოგ. ვეძებ სიცოცხლის მიზანს, მსურს ვიპოვო, ამოვიკითხო სად არის სრულყოფა ადამიანის გონებისა,

დედა. დაეხსენ შვილო! გადაჭარბებული ხვა რა არის კარგი, რომ წიგნების კითხვა იყოს? ხალხში უკვე ათასგვარი ცუდი ხმები ვრცელდება; ამბობენ დიოგენი გონს გადასცდაო.

დიოგ. გონიერი არც ვყოფილვარ არას დროს... დედა, მითხარი, რა არის გონიერება; მითხარი სუფევს თუ არა ნიჭი, რომელიც გზას იკვლევს ცხოვრებაში და ყოველგვარ მოვლენას აძლევს განმარტებას, უთხარი იმ უვიცთ, უთხარი, რომ მე არას დროს არ ვყოფილვარ გონიერი

დედა. თავს რად იმცირებ შვილო?!

დიოგ ნუ თუ თავის დამცირებაა ის, რომ ადამიანმა თვისი ამოცება შეიგნოს? ყოველივე დავკარგე დედა! დედა! დავკარგე გზა ძიებ-სა, განვმარტვდი. მსურდა მარტოდ მარტო შევდგომოდი არსებობის კვლევაძიებას, მაგრამ გამოუცდელ ჩიტის ბახალასავით გავები ვნების ბრჭყალებში.

III

იგინიგვე და ლიზა

დიოგ. აბა, შენი შვილი აჰა, რომლის კალთასაც შეგიძლიან შეაფარო თავი, ჩემზე-კი გაიშალე თმის დალალნი და გამომიტირე.

ლიზა. საცაა სტუმრები მოვლენ, შენ-კი ჯერ პირიც არ დაგიბანია;

მერე იცი ვინ მოვლენ დღეს?

ლიზ. ვინც უნდა მოვიდეს,

უთხარით. რომ მე შინ არავარ! გესმისთ? მე ჩაგიკეტები აქ და გთხოვთ, ნურავინ შეეცდებით შემოიჭრათ ჩემს მარტოობაში.

დედა. როგორ? ვიცრუო მოხუცმა?

დიოგ. ეს სიცრუე არ იქნება, ვინაიდან ჭეშმარიტების წარმოსთქმა ადამიანს არ ძალუძს. ხა! ხა! ხა! რა იქნებოდა, რომ ერთს მშვენიერ დღეს ადამიანებმა მოისურვონ სიცრუის უარყოფა მთელი კაცობრიობა დამუნჯდებოდა, ვინაიდან ჯერ არ სუფევს სიტყვა ჭეშმარიტების გამომსახველი.

ლიზა. რომ იცოდე, ვინ მოვა დღეს ჩვენსა! (ეურში ჩასჩურჩულებს).

დიოგ. უთხარი რომ შინ არა ვარ. (ფითრდება).

დედა. ახ, რა შეუბრალებლად ეპყრობი, შვილო, ჩემს მოხუცებულებას? (**ლიზა** და **დიოგენი** ერთმანეთს თვალებით ზომავენ. დუმილი. **დიოგენი** მიდის მაგიდასთან და ბარათს სწერს) აი ეს ბარათი გადაეცი ალოლს. უთხარი, რომ ჩვენ ერთურთს ვერას დროს ველარ ვიხილავთ.

ლიზა. მე არ მსურს შენი მკაცრი ბრძანების აღმასრულებელი ვიყვე! იცოდე, რომ... მაგრამ თვით მომავალი ცხად ჰყოფს ყოველივეს (გადის)

დიოგ. რა ვქნა, რა ვიღონო? ნუ თუ ჩვენ კიდევ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს? ნუ თუ იმ ღამის შემდეგ კიდევ სუფევს ჩვენ შორის რაიმე დამოკიდებულება? ვის ვეძიებდი და რა ვიპოვე? ოხ!..

IV

(იგივე და ახალგაზრდა გლეხი **პლატონი**).

დედა. მიბრძანდი, შვილი.

პლატონ. (ზრდილობიან სალამს იძლევა) დილა მშვიდობისა.

დიოგ შენა ხარ პლატონ? როგორ გიკითხო.

პლატ. ვცოცხლობ.

დიოგ. სცოცხლობ თუ სცხოვრობ?

პლატ განა ამ სიტყვებში რაიმე განსხვავებაა?

დიოგ. მერე როგორი! დიდი უფსკრულია მათ შორის. სიცოცხლე ადვილია, ცხოვრება კი ძნელი. ვინც სცხოვრობს მას უმძიმს სიცოცხლე, ვინც სცოცხლობს მხოლოდ, მან არ იცის რაა ცხოვრება. შენ გიმძიმს სიცოცხლე?

პლატ. იმოდენად რამოდენადაც ხელს მიშლის უსწავლელობა.

დიოგ. ბევრს-კი უსწავლელობა უმსუბუქებს ცხოვრების მძიმე ტვირთს. რა მომიტანე სადგურიდან?

პლატ. რამოდენიმე ბარათია და გაზეთები (აძლევს).

დიოგ. (კადაათვალიერებს ბარათებს, შემდეგ დახევს და იატაკზე დაჭერის) მეგობრები მწერენ, მუშაობა არ შესწყვიტო მოუთმენელად ველით შენგან ახალ რამესო. ხა! ხა! ხა! ვინ რა მისცა ახალი რამ ხალხს, რომ ჩემგან ელიან? იშრომე, მაგრამ როდესაც უიმედობაში ირჩობა ნების ხმა? უიმედობამ დაცხრილა სული, ჩემში მხოლოდ ნამსხვრევები ღა სუფევს წინანდელი სახებისა. გახსოვს ბავშვობისას წერა-კითხვას რომ გასწავლიდი? შენი მშობლები მაყვედრიდენ, უბრალოდ ნუ გვიცდენ შვილსო. ვინ იცის, იქნებ არც-კი სტყუოდენ ისინი დიახ! იმიტომ, რომ წერა-კითხვის ცოდნამ შენს სულში ტანჯვა უფრო გააღრმავა. გახსოვს რა ცელქი უდარდელი ბავშვი იყავი?

პლატ. მახსოვს! (ამოიოხრებს).

დიოგ. შენ და ლიზას ბავშობისას ძლიერ გიყვარდათ ერთმანეთი.

პლატ. (წითდება) დიახ, გვიყვარდა.

დიოგ. (თვალებში ჩაიცქერდება) ეხლა?

პლატ. მე ეხლაც პატივს ვცემ თქვენს დას.

დიოგ. რად შესცვალე სიტყვა ეხლა ხნოვანება აღარ გაძლევს უფლებას, რომ სთქვა ეხლაც მიყვარსო. არა? ოჰ, რა ძნელია ვნების ბრჭყალებში მომწყვდეული სიყვარული· გსურს დაუძახო ლიზას?

პლატ. არა, გმადლობთ მეჩქარება, მშვიდობით გნახეთ...

დიოგ. რად გაწითლდი? ლიზა! ლიზა!

V

იგინივე და **ლიზა.**

ლიზა. მე მეძახდი?

დიოგ. მოდი აქ, შენი სიყრმის მეგობარი გვეწვია!

ლიზა. სასიამოვნოა! (ხელს ართმევს).

დიოგ. თქვენ ხომ გიყვარდათ ერთმანეთი?

ლიზა და არც ეხლა გვძულს ერთურთნი. არა პლატონ?

დიოგ. დასთანხმდები პლატონს ცოლობაზე?

პლატ. (მორცხვად) კარგია, რომ ოხუნჯობის ხასიათზე ხართ. მაგრამ მე მეჩქარება. მშვიდობით (კადის).

ლიზა. რად ჩაგდე ასეთ უხერხულ მდგომარეობაში?

დიოგ. წადი! გააცილე! პატივი ეცა სიყრმის მეგობარს.

ლიზა. არაყზედაც ღავპატიჟებ (კადის).

დიოგ. მიდის ბუხართან, აიღებს თავის ქალას და ფრმად დააკვირდება) და ეხოლდ იმისთვის, რომ ამ გვარი თავის ქალა ქალწულისა მიიყრდნო მკერდზე, ვიდრე ამ საზარ სიღრმეს ფარავს ვარდივით მოელვარე ბაგე, უნდა ზიდო სიყმაწვილეში წამების ჯვარი? რომ იძიო იდუმალი მცნება. თუ რისთვის სცოცხლობდა, რისთვის მოკვდა ადამიანი, უნდა ეწამო მთელ სიცოცხლეში? (თავის ქალას მიწაზე დაანარცხებს) ხა! ხა! ხა? გონს გადავცდი. ხა! ხა! ხა! (გაადებს ფანჯარას) ჰეი! (შემკრთალი მოშორდება ფანჯარას) ალოლ! ალოლ! (ისევ მივა ფანჯარასთან და გადასძახებს) მობრძანდით! მობრძანდით ყველანი შინ არიან დიოს გარდა. გესმით? მე შინ არა ვარ! (ჩაიკეტავს ფანჯარას. კარედან სიცილი და ხმაურობა მოისმის) ოხ, ღმერთო ჩემო! დედა! დედა!

VI

იგივე და **დედა**.

დედა. რა გემართება, შვილო!

დიოგ. რაღაც მტანჯავს! დედა! ღედა! იტირე ბედკრული შვილი.

დედა. (ნაზად ხვევს ხელს) დამშვიდდი, შვილო!

დიოგ. რა ვქნა! რა ვქნა!

დედა. ნუ მიეცემი მარტოობას, გაერთე, გამხიარულდი სტუმრები მოვიდნენ. წამოდი მათთან!

VII

იგინივე, **სუსანა**, **შამშე** და **გიორგი**.

დიოგ. ახ!

სუსანა. გვაპატიე, რომ დაუკითხავად შემოვიჭერით შენს მარტოობაში.

გიორგი. არა ერთი მითხარი მართლა შინ არ ბრძანდები?

შამშე. ჩვენ აქ დროს გასატარებლად მოვედით და მასპინძლის სახე-კი ისეთ სასოწარკვეთილებას გამოხატავს, რომ გეგონებათ...

დედა. რაღაც შეუძლოდა მყავს.

ლიზა. (კარებიდან) მობრძანდით აქეთ.

დედა. მიბძანდით, დიოგენიც, დამშვიდდება და გეახლებათ. (კვდიან ყვედანი)

დიოგ. დედა! წადი სტუმრებს მიხედე. მე არა მიშავსრა! გაივლის ეს უკეთურება.

დედა. კარგი შვილო! (კვდის).

დიოგ. (მოდუნებული დაეცემა სარეცელზე ბაუზა).

VIII

იგივე და **სუსანა**

სუსანა (მივა და კვერდით მოუჯდება) რადა ხარ ასეთ ცუდ ხასიათზე?

დიოგ. (მკაცრად) რა გსურს, რად არ მასვენებ?

სუს. მე მსურს შენ გულის ჩქროლვას დაუგდო ყური.

დიოგ. (ისევ მკაცრი ხმით) სუსანა!

სუს. გავიგე, რომ თხუზულებასა სწერ ასეთ სათაურით „ვნების ბრჭყალებში“ მართალია.

დიოგ. ვსწერდი მაგრამ!

სუს. მაგრამ მასალა შემოგაკლდათ? აი, მე მოგცემთ მასალას... ახალგაზრდა ასულის გული ყოველთვის სცდილობს, რომ მამაკაცის სულიერ ავადმყოფობას შეუსისხლ ხორცდეს და სუსანასა სურს, რომ შენი მკერდი მის მკლავებში მოიმწყვდიოს! (ხელს ხვევს).

დიოგ ნუ თუ შენც იმას სცდილობ, რომ ჩემში ვნების წყურვილი გააღვიო? გამშორდი! ხომ მხედავ რა უსაზღვროდ ვიტანჯები?

მომშორდი, თორემ ვიყვირებ! ალოლ! ალოლ!

სუს. ალოლ! ალოლ! სიტყვას ისე ვერ მოაბრუნებს რომ ალოლი არ დაიძახოს ერთი კიდევ! (კოცნის და კარბის)

დიოგ. (მიდის მაგიდასთან და სწერს რვეულში) შესაძლოა როდისმე გამომადგეს ამ ვნებით დამთვრალ ქალის სიტყვები. „ახალგაზრდა ასულს სურს მამაკაცის სულიერ ავადმყოფობას შეუსისხლხორცდეს“.

IX

იგივე და **ალოლ**!

ალოლ! რად მეძახდით?

დიოგ, (თავდახრილი სდგას) გეძახდით განა?

ალოლ! ვგონებ მე მქვია ალოლ! ეს სახელი ხომ თქვენ შესთხზეთ ჩემი სახელის ასოების უცნაურ შებრუნებით?

დიოგ. ახ, ის წყეული ღამე! ღამე უძილო! ღამე ბოროტებისა! ვინ იყო დამნაშავე?

ალოლ! ჩემი სიყმაწვილე, ჩემი ქალწულება იმ ღამეს შენ შემოგწირე! მე შენ გეკითხები: ვინ იყო დამნაშავე?

დიოგ, მას შემდეგ მე ის წუთიერი სულის სიმშვიდეც დავკარგე, რომელსაც დროგამოშვებით განვიცდიდი. შემიბრალე, გამშორდი, დამტოვე მარტო. იმ ღამემ ყოველივე რწმენა ჩაჰკლა ჩემში, მთელი ძიება წმიდა, უმანკო სიყვარულისა იმ ღამემ ამოსვარა ვნების მორევში. მე რაღაც მიუწდომელს ვეძებდი შენს სულში და რა ვპოვე, რა! საშინელებაა! ახ! იმ საბედისწერო ღამემდის მე ვფიქრობდი, რომ უშენოდ სიცოცხლე არ შემეძლო, იმ ღამემ კი დამარწმუნა, რომ არც შენთან შემიძლია სიცოცხლე, წადი, გამშორდი.

ალოლ! სად წავიდე? რისთვის მაწამე,

რისთვის დამიჭკნე სიცოცხლის ვარდი?

დიოგ. აი, რა სწერია აქ. (აიღებს ბიბლიას და კითხულობს) „და უთხრა უმფროსმა დამ უნცროს: მამა ჩვენი მოხუცებულია და არავინ არის ქვეყანასა ზედა, რომელი შემოვიდეს ჩვენდა მომართ ვითარცა წესი არს ქვეყნისა. ვასვათ მამა ჩვენს ღვინო, დავწვეთ მისთანა და აღვადგინოთ თესლი მამისა ჩვენისაგან და ასვეს ღვინო ღამესა მას და შევიდა უმფროსი და, დაწვა მამასთან, და ვერ სცნო დაწოლა და ადგომა მისი. მეორე დღეს რქვა უმფროსმა უნცროსს, მე ვიწევ მამაჩვენთან, ვასვათ მას ღვინო ამაღამაც, შედი და დაწევ მასთან. და შეიქნენ ლოტის ორივე ქალიშვილნი ორსულად მამისაგან თვისისა“, (დაკეტავს) თუ ასეთი ძლიერია ახალგაზრდა ასულის ძარღვებში სისხლის დუღილი. თუ ასეთი დაუცხრომელია შენში ველური ვნება, წადი! წადი! (ფითრდება)

ალოლ. სად?

დიოგ. გადი ხალხით სავსე მოედანზე და მოიპმტიეე შენს სარეცელზე ყველა ის, ვისაც ძალუძს დაგიცხროს ვნება.

ალოლ- მტარვალო! რა სთქვი? ოხ, ღმერთო ჩემო! (ქვითინებს) რა საშინელებაა! რთდესაც შენი ხელი შეეხო ჩემ სიცოცხლის ყვავილს. როდესაც ტრფობის სხივებზე დაფერფლე ჩემი უმანკო სხეული, ეხლა მეუბნები ამას? ყოველ ნაკვთს ჩემი სხეულისას აჩანს შენი დანასუნთქი. ნუ თუ იმიტომ მომწყვიტე უმანკოებას, რომ სამუდამოდ გარყვნილების მორევში გადამისროლო? მაგრამ თუ შენში არ სუფევს სიბრალული, ჩემშიდაც იფეთქებს შურის ძიება. ხანჯლით განგიგზავნიან იმ მკერდს, რომელიც თრთოლვით ეკვროდა იმ ღამეს ჩემს სხეულს.

დიოგ. რაღას აყოვნებ! დამეც მახვილი **ბევედრები**, გემუდარები,

X

იგინიგე, გიორგი და **შამშე.**

გიორგი. (დვინით სავსე მოგერგხლიდი ჯანწი ძეწკვით ჭკიდია მხარზე) ესენი-კი თურმე აქა ჰუკპუკებენ განმარტებით.

შამშე. რა რიგ მაკვირვეს, დიო, შენი გამოცვლა! მუდამ მოუსვენარი იყავ, ეხლა-კი მონასტრის მწირივით ოთახს არ სცილდები

დიოგ. ის აღარა ვარ რაც ვიყავ ოდესმე. დავეცი სულით. იმ ფრთა გაუზრდელ არწივის ბახალას დავემგსავსე, რომელიც ვიდრე ძალ-ღონეს მოიკრებდა გაუმაძღარ ყვავის მსხვერპლი შეიქნა.

გიორ. (წიგნებს ათვალიერებს) ეს წიგნები ჭკუიდან შეგშლიან მვგობარო! და ხომ იცი ბრძენ დიოგენს მისმა სიბრძნემ სად მისცა ბინა? აი ამ რქაშია მომწყვდეული მთელი სიბრძნე და უმეცრება, ნაღველი და სიტკბოება! აბა გადაჭკარ!

დიოგ. არ მინდა, არა.

გიორ. ცოტა მოსვი, სულ ცოტა.

დიოგ. (უოუმანით მოსვამს).

გიორ. ცოტა კიდევ!

დიოგ. მაშ კარგი დავლევ! დავლევ!

გიორ. ეხლა-კი ჩვენი ხარ? (ხელს ჩაკიდებს) წავიდეთ ხეივანში, ვიქეიფოთ. აქ, ძმაო, რაღც საშინელი ოხვრა ისმის ამ წიგნებში მომწყვდეულ აზრებისა. (დიოგენს მეორე მხარში შამშე ჩაჭკიდებს ხელს).

დიოგ. წავიდეთ დავლიოთ! დავლიოთ. (კადიან! ადგდს ქვითინი წასკდება და გულ შედონებულნი ჩაიკეტება).

ფ ა რ დ ა.

(გაგრძელება იქნება)

ვაჟ-კაცის სიკვდილი

(ალხური ლექსი, ჩაწერილი ხაშმელი გლეხის იაგორ ყურკაციშვილის-მიერ).

ვაჟკაცსა ომში სიკვდილი—
თავი მძინარე ჰგონია;
შედგება საკაცეზედა—
ცხენზე შეჯდომა ჰგონია;
ჩადგება სამარეშია—
თბილი ლოგინი ჰგონია;
ზედ დაყრა შავი მიწისა
საბნის დახურვა ჰგონია;
ნაღვენთი შავის მიწისა—
დედის ცრემლები ჰგონია;
ყელზე შეხვევა გველისა—
ცოლის მკლავები ჰგონია;
დახვევა ჭია-ღუისა—
წვრილი ცოლ-შვილი გჰონია!..

ვუდრო ვილსონი
ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომელმაც მეომარ სახელმწიფოთ მოწოდებით მიმართა და სთხოვა მშვიდობიანობის ჩამოგდება, ისეთი ზავს დადება, რომ არავინ დაიჩაგროს

ტბის ასული

ძილის მეფე სუბუქ ფრთებით დაჰფარფატებს სოფელს ჰმართავს.
მის მიჯნაზე თავისუფლად თვისი დროშა აღუმართავს.

—

ანდამატად, მოჩვენებად შექმნილი და გადამდნარი,
ძილის მეფე ყველგან დაჰქრის უხილავი, უჩინარი.

—

სთვლემს ყოველი.. თვით ფოთლების შარაშური აღარ ისმის,
მხოლოდ ტბიდან რაღაც უცხო—ნელი ჰიმნი გამოისმის.

—

აქ, ტბის პირად, ასულს შიშველს, სამოსელით დაუფარავს,
ისლში ბინა უპოვნია, ისლით სახე დაუფარავს..

—

ვარსკვლავთ კრებ ტბის ასულსა დასციაგებს, ძილია უკრთობს
და მთავარეც მის ფიქალ მკერდზე დასთამაშებს, თავსა ირთობს.

—

ჰიმნსა მღერის ის დამატყვევებს, მოსაკლავად თვისი ჟინის
და ცის მნათობს თვალს უშვრება, შესთამაშებს და შესცინის.

იპო ჯინორიძე.

ხარხარი

(თარგმანი)

ტაძარი გაჩაღებულია. საცეცხლურის თხელ სურნელოვან ბოლში მკრთალად ციმციმებს თაფლის სანთლები.

საკურთხევლის წინ სდგანან სიძე და სატარძალი. ორივე ახალგაზდა, ლამაზი ნატარძალს თვალებში ენით გამოუთქმელი ბედიერება, უსაზღერო სიხარული ეხატება. პერიოზიულის ფიქრებით არის მოცული საპსიძოს მაღალი შუბლი, რაიც მის სახეს მრის ხანების გამოომეტყველობას აძლევს. ორივე ბედნიერად გრძნობს თავს, უზომო ბედნიერად მთელი სიცოცხლე—მოძჯადოებელი. ბედნიერი ადამიანი სიყვარულითა იკუთვნის მათ განუყოფელად

გარეშემო ყოველივე მხიარულობს, დღესასწაულობს.

მღვდლის სამოსელი ბრწყინავს სანოლეების შუქით, ლამაზად მორთული სიძე-პატარძალი ყველა იქ მყოფთაგან გამოირჩევიან.

ჯვარის წერა დასრულდა, მეჯვარეთა დაღლილი ხელები უკანასკნელ ღონეს იკრებენ და გვირგვინებს მღვდელს გადასცემენ. დიდი დუმილი შეიცვალა ცოტაოდენ ხმაურობად რომელმაც თან და თან იმ ტა. დაუსრულებელი იყო მრავალი მილოცვა, კოცნა, მისალმება... შემდეგ მაყურებელთა ჯგუფი ორად გაიყო, და ცოლსა და ქმარსა გზა მისცა, ისინი გამოვიდნენ. ვილამაც ეტლს დაუძახა, შიგ ჩასხა, კარები მიხურა და „გასწიო“ უბრძანა...

იმათ კი არ ესმოდათ, ვინ რას ამბობდა ვერ ხედავდნენ თუ ვის ჩასხა ისინი ეტლში და სხვ... ორივე მთვრალნი იყვნენ ეშხით, ერთმანეთს სასიამოვნოთ. ეტლი გაქანებული მიჰქროდა. ახლად ჯვარ დწერილნი ერთი მეორეს მიკრდნენ .. ის უკოცნდა თვისი ცოლის თეთრ ფუნთრუშა ხელებს. პირს სახე ტუჩებს და ყურში მღელვარებით ჩასჩურჩულებდა:

— სიხარულო .. ბედნიერებავ.. შენ ჩემი ხარ..- შენ თავს ვერავინ წამართვემევს.. მუდამ ერთად ვიქნებით... არა?

ეტლი მიჰქრის შუაგულ ქალაქში, მგ-

რამ ისინი ვერაფერს ამჩნევენ, ვერას ხედავენ... მათ არ ესმით, თუ როგორ ახლოს, ეტლის ბორბალთა რახუნის შორის მოისმის გულ-შემზარავი, თავზარ-დამცემი ხარხარი მეფისტოფელისა:

— ხა-ხა-ხა-ხა! ხა-ხა-ხა ხა!!.

პოდპ. კირილე მაჭარაშვილი

შარადა

ქალების ტანისამოსი
კაბის ქვეშ ჩასაცმელია,—
ტანს აჩენს კოხტად, ლამაზად
(გვერდების დამზელელია!)
ძალებისგან ასხმული
ზონარით მოსაჭერია
(ზოგზედაც დუგმებს აბნევენ)
თუმც შესაკვრელად ძნელია!
ექიმნი, დიდი სწავლულნი
ქალებს უკრძალვენ იმასა,—
მაგრამ-კი ჩვენი დიაცნი
რას გაიგებენ სხვისასა!

აიღეთ ხელში კალამი,
სიტყვა დასწერეთ სრულადა,
მხოლოდ შუაზე ერთ მარცვალს
ამოსჭრით,—იყოს კრულადა.

ხომ ხედავთ, როგორ ადვილად
უკვე აიგო შარადა:
იმის მიმყოლი ქალ-კაცი
იცლება სისხლად, ფარადა.

მახვილი

ნვრილი ამგები

ჩვენში

სახალხო მგოსნის ი. დავითაშვილის გარდაცვალების 30 წლის თავი სრულდება წელს.

ნ. გოცირიძის 20 წ. იუბილეს სახალხოს სახლში აუარებელი ხალხი დაესწრო. მოდღესასწაულეს სხვა და სხვა დაწესებულების მხრით მიულოცეს შესაფერი სიტყვებით.

ჯიბის „ვეფხის ტყაოსანის“ გამოცემა განუზრახავს გრ. ჩარკვიანს სწორედ ისევე, როგორც ამ 16 წ. წინად გამოსცა. წიგნი დასურათვბული იქნება ზიჩის ნახატებით.

◆ მივიღეთ ახალი წიგნები. ქ. შ. წ. კ. ს-ი-გამოცემანი: იაკობ გოგებაშვილის „იავნანა რა ჰქმნა“-და „თავდადებულნი ქართველნი“ (ორივე წიგნი დასუს რათებულია, თითო ღირს 15 კ.) და ეკ. გაბაშვილი-მოთხრობანი, წიგ. III, მოზრდილთათვის. წიგნი შეიცავს თორმეტამდე მოთხრობას, დაბეჭდილია რიგიან ქაღალდზე, სუფთად, ფ. 60 კ.

◆ ქართულ საქველმოქმედო საზ-ის სასარგებლოდ დღეს „ახალ კლუბში“ ვრცელი შინაარსიანი სალამო **გაიმართება**.

◆ ვასო აბაშიძის წარმოდგენა გაიმართება „ახალ კლუბში“ კვირას, თებრ 12.

◆ ქართული გუნდი ალ. მაისურაძისა. ამ მოკლე ხანში სახალხო სახლში გამართავს დიდ კონცერტს 4 განყ.

◆ „სორაპნის“ სტამბაში იბეჭდება მ. ვეშაპიძის ნაწერების პირველი რვეული. წიგნი მალე გამოვა და ეღირება. 50 კ.

◆ ჯარისკაცთათვის დიდ კარაკლისში სცენის მოყვარე ვანო გიგოშვილის თაოსნობით ამ კვირიდ ქართულად წარმოდგენილი იქნება „ტიმოთეს ლეღვი!“ როგორც გადმოგვცეს, ი. გიგოშვილის განუზრახავს დრო გამოშვებით მართოს წარმოდგენები.

◆ ცხვეტორიმ ხაშურის დრამ. წრეს თავის ხარჯით გაუწერა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“.

რუსთა შორის

◆ **ჟურნალის იუბილე.** რამდენიმე კვირის წინეთ შესრულდა ოცი წელიწადი რაც გამოდის რუსული ჟურნალი „თეატრი და ხელოვნება“. ჟურნალმა არ მოისურვა ამ დღის განსაკუთრებით აღნიშვნა, თუმც მის ხელმძღვანელ ბ. კუგელს მრავალი მოლოცვები მოუვიდა ჟურნალისტებისა და პატივისმცემლებისგან.

◆ **იური ბელაევი**, ახალგაზრდა ბელეტრისტრისტი, რუსეთში გარდაიცვალა

◆ ალექსანდრე ამფითეატროვი, ცნობილი რუსი მწერალ ბუბლიცისტი, „რუსკაია ვოლიას“ თანამშრომელი, მთავრობის მიერ გაძევებულ იქნა ტვერს. ამ გარემოებამ დიდი აღელვება გამოიწვია მწერალთა 7რეებში.

◆ „დროინი მეფობენ“. გაზეთ „უტრო როსიის“ ფაქტიურნა რედაქტორმა ალექსეევსკიმ გაზეთს თავი მიანება და ერთ დიდ სავაჭრო დაწესებულებაში შევიდა.

◆ ვლ. ბურცევი აპირებს განაახლოს ჟურნალ „მომავალის“ გამოცემა ძველი პროგრამით.

◆ ახალი გაზეთი „სხივი“ რომელსაც სცემს გამომცემლობა „კაპეიკა“ მაქსიმე გორკის ხელმძღვანელობით, რუსეთის ჟურნალისტთა წრეებში დიდს ინტერესებს იწვევს- „სხივი“, თურმე ნივთ ერი მხრით უზრუნველყოფილია მილიონებით. ამბობენ, ამ გაზეთში საინტერესოა თანამშრომელთა შემადგენლობა, მაგ-სამხედრო მიმოხილვას აწარმოებს ყოფილი სამხედრო მინისტრი პოლივანოვი, სასკოლო საქმეებზე სწერს ყოფილი მინისტრი გრაფ იგნატიევი.

წერილი რედაქციის მიმართ.

მადლობის გამოცხადება

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ ვანო მესხიშვილს, რომელმაც კეთილ ნება და გამოუწერა ამა 1917 წლ. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს. თელავის წმ. ნინოს. სასწავლებლის ქართველი მასწავლებლნი.

დამფუძნებელნი

კავკასიის საგაჭრო-საძრეწველო ბანკისა, რომელსაც მინისტრის განკარგულების ძალით ეწოდება

„ამიერ-კავკასიის ბანკი“

ამით აუწყებენ აქციების პატრონთ, რომ ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდების §§ 63 და 64 ძალით, პირველი საზოგადო კრება ბანკის აქციონერებისა დანიშნულია 5 მარტს 1917 წ. ტფილისში დილის 11 საათზედ ბანკის ბინაზედ—ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5 (ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ახალ შენობაში)

საგანი განხილვისა:

1 საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში
2. საბჭოს წევრთა რიცხვის მომატება.
3. საბჭოს წევრთა არჩევანი.
4. 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. ბანკის საჭიროებისათვის უძრავ მამულების შეძენის შესახებ მოხსენება
6. გამგეობის სამას წევრის არჩევა.
7. სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა.

ბბ. აქციონერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ:

ყველას, ვისაც-კი შეუძენია ბანკის აქცია, ნება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას, ხოლო ხმის უფლება მარტო იმ აქციონერსა აქვს, რომელსაც **ათს** აქციაზედ ნაკლებ არ ეკუთვნის ყოველ ათს აქციაზედ პატრონს ერთის ხმის უფლება აქვს, მაგრამ ამასთანავე რაც უნდა ბევრი ჰქონდეს აქცია, მაინც აქციონერთა საზოგადო კრებაზედ იმაზედ მეტს ხმას ვერ მიიკუთვნებს, რაც გადააჭარბებდა კრებაზედ დამსწრე წევრისა ხმების ერთს მეათედს (56)

მთავრობისა, საზოგადო დაწესებულებანი, საზოგადოებანი და ამხანაგობანი ხმის უფლებას თავიანთ კანონიერ წარმომადგენლთ აძლევენ (57)

იმ აქციონერებს, რომლებსაც ათს აქციაზე ნაკლები აქვთ, შეუძლიანთ შეაერთონ თავიანთი აქციები, ზაგადის ვექილობის ძალით, რათა მიიღონ უფლება ერთი ან მეტს ხმისა იმ საღვრამდე, რომელიც მოხსენებულია 55—ში(57).

რომელ აქციონერსაცხმა აქვს, მაგრამ რაიმე იმზეზის გამო არ შეუძლიან კრებას დაესწროს ნება აქვს, თვისი უფლება ისეთს სხვააქციონერს გადასცეს, ომელსაც აქვს ხმა, მაგრამ ერთსა და იმივე აქციონერს საზოგადოდ არ შეუძლიან ორ ვექილობაზედ მეტი ვექილობა იქონიოს.

შენიშვნა: ვექილობა ხმის გადაცემისათვის უნდა შესდგეს წერილის სახითა და გიდაეცეს ამიერ-კავკასიის ბანკის დამფუძნელთ სამის დღით ადრე საზოგადო კრებამდე ხელის მოწერა ვექილობაზე უნდა შემოწმებულ იქმნას მთავრობის საზოგადო დაწესებულებათა ან პირთ მიერ. საზოგადო კრებაზედ შესასვლელი ბილეთების მიღება შეიძლება ბანკის კანცელარიაში 4 სარტს. დილის 10 საათიდან დაწყებული,

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათ ის V წ.

სათეატრო სალიტერატურო, სამახტვრო ყვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ოქრ პრემიას

აკაკის „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა გარეშე, პროგრესიული მიმართულებისა

ნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მსატვრები

ჟურნალის ფასი ოთხივე პრემიით წელიწადში დიდს 8 მან. ნახევარის წლით. მახ. 50 კაპ. თითო ნომერი ეკვედგან 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად ეიძლება: ხელის მოწერის დრის 3 მ., 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპანის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნ. ძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი

ახალი კლუბი შაბათს 11 თებერვალს ქართველი საქველმოქმედო საზოგადოება თავის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლათ გამართავს

დიდს საღამოს

პროგრამა 1) ოპერა ლაკმე ქართულათ მეორე მოქმედება. მუსიკა დელიბასი ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით. 2) ციგ ნთა ბარონი პირველი მოქმედება მუსიკა ზუპეისი. ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით 3) ეროვნული ცეკვა ს ენაზე და სხვ. დასაწყისი საღამოს 9 საათზე ბილეთები იყიდება ახალ კლუბში და ძმა ნუგეშის საჩაიეში საღამოს დიასახ კნ. ნ. კ. ჩალ ყაშვილისა, გამ. თ. მ. დ. ქავქავაძე.

ახალი კლუბი 1 ყვირის პროთებ. 12-16

ყვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ოქრშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ. — საოჯახო საღამო

ყვირა — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ სა. შუსას. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

ოქრშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი — ოპერეტა რუსულ ენაზე

პარასკევი — საოჯახო საღამო

შაბათი — რუსული წარმოდგენა

ყვირა — სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები — 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოგენა — კონცერტების და — სინემატოგრაფ — საღ. 8 ნახ. ს.

ქუთაისში
ქარხანები
ბ. ჯანჯიძე ანდ ბრ.
ქუთაისი
ბ. ჯანჯიძე ანდ ბრ.
ბ. ჯანჯიძე ანდ ბრ.
ბ. ჯანჯიძე ანდ ბრ.